ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 73

ქ. თბილისი 08 აგვისტო 2016 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთის მხრივ თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრის (400098443), შემდგომში წოდებული,,შემსყიდველი'', წარმოდგენილი მისი დირექტორის შალვა მაისურაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ბელუქსი" (სკ 205185459), მისი დირექტორის ლევან ჭყონიას სახით, შემდგომში წოდებული „მიმწოდებელი", ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 2.1 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრისათვის 4.1. პუნქტში აღნიშნული საქონლის მიხედვით, CPV კოდი **39110000** - დასაჯდომები, სკამები და მონათესავე პროდუქცია და თანმდევი ნაწილები საქონლის შესყიდვაზე.

2.2 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს აღნიშნული საქონელი წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების **ჯამური** ღირებულება (შემდგომში - ხელშეკრულების ფასი) შეადგენს:

380 (სამას ოთხმოცი) ლარს

3.2. ხელშეკრულების ფასი და ერთეულის ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს მომსახურების მიწოდებასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს, სახდელს.

4. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

4.1.

№	დასახელება	განზ. ერთ	რაოდენობა	ერთ. ფასი	ჯამი
1	საოფისე სკამი	1	ცალი	380,00	380,00
	ჯამი				**380,00**

5. მომსახურების/საქონლის შესაბამისობა

5.1. ხელშეკრულების მეორე მუხლით გათვალისწინებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს მსგავსი საქონლისათვის უკვე არსებულ სტანდარტებსა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს.

5.2. 5.1. პუნქტში აღნიშნული ნორმიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს მომსახურება/საქონელი ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

6. მომსახურების მიწოდების პირობები

6.1. ვადები:

6.1.1. საქონლის/მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2016 წლის 12 აგვისტომდე.

6.2. ადგილი:

6.2.1. საქონელის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მისამართზე: ქ.თბილისი, ბელიაშვილის #5

7. მომსახურების/საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. საქონლის მიღება-ჩაბარება განხორციელდება საქონლის მიწოდების შემდეგ, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი ორ ეგზემპლარად.

7.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილია ცენტრის დირექტორი შალვა მაისურაძე.

8. ანგარიშსწორების პირობები

8.1. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

8.2. ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტიურად გაწეული მომსახურების შემდეგ, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, წარმოდგენიდან არა უგვიანეს 10 (ათი) საბანკო დღეში.

8.3. ანგარიშსწორების ადგილი: ქ. თბილისი.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

10. ინსპექტირების პირობები

10.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შალვა მაისურაძე.

10.2. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შესყიდული მომსახურების ინსპექტირება.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 13 სექტემბრამდე.

12. განსაკუთრებული პირობები

12.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად (2 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

12.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება "მიმწოდებელთან", ერთი – "შემსყიდველთან".

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
აიპ თბილისის პარასპორტის	შპს „ბელუქსი“
განვითარების ცენტრის	მის: ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქ. 118, ბ20
მისამართი: ქ. თბილისი, ზელიაშვილის 5	ს/კ : 205185459
საიდენტიფიკაციო კოდი: 400098443	ბანკი: რესპუბლიკა ბანკი
	ა/ნ : GE39BR0000010005578235
	ბ/კ : REPLGE 22
დირექტორი	დირექტორი
შალვა მაისურაძე	ლევან ჭყონია